



ვარშავა#146

19 ოქტომბერი 2020 წელი

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ რუსუდან ქავთარაძეს

ქალბატონო რუსუდან,

გულწრფელ მადლობას გიხდით თქვენ - აჭარის განათლების ფონდს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერისთვის და ერთობლივი ძალისხმევით აჭარაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

საერთაშორისო ფონდი „HumanDoc“ შეიქმნა იმისათვის, რათა საჭირო ცოდნით აღჭურვა საზოგადოება და ინფორმირებულ საზოგადოებასთან ერთად ემოქმედა გლობალური პრობლემების გადასაჭრელად. ათწლეულის განმავლობაში, ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ მრავალი ინტერდისციპლინარული პროექტი, რომელთა უმრავლესობა საზოგადოების კეთილდღეობისა და შესაძლებლობების გათანაბრებას ისახავდა მიზნად.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 22-23 აგვისტოს ბათუმში, სასტუმრო ჰილტონში პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგის სწავლების პროგრამა თემაზე: **„ძალადობა, მსხვერპლის მოძალადის ამოცნობა, პრევენცია რეაგირება და სამართლებრივი მექანიზმები.“** პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ „RITA-რეგიონი გარდამავალ პერიოდში“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისთვის“.

აღნიშნული ტრენინგის წარმატებით გაიარეს და სერტიფიკატები მიიღეს აჭარის განათლების ფონდის, ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენინგმა: **ნინო ტავალაშვილმა და ნიკოლოზ იმედაიშვილმა.**

2020 წლის 26 აგვისტოს სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ფონდი „ჰუმანდოკის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლები შევხვდით აჭარის განათლების კულტურისა და სპორტი სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსს ნაზიბროლა ბერიძე-გაბაიძეს, აჭარის განათლების ფონდის დირექტორს რუსუდან ქავთარაძეს და აჭარის განათლების ფონდის დირექტორის მოადგილეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ლალი ლომთათიძეს.

შეხვედრაზე განვიხილეთ პედაგოგების საპილოტე ტრენინგ-პროგრამა - "ძალადობა, მსხვერპლის, მოძალადის ამოცნობა, პრევენცია რეაგირება და სამართლებრივი მექანიზმები" და აჭარის სკოლების პედაგოგებთან მისი დანერგვის მექანიზმები.



შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ: ფონდი ჰუმანდოკის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის განათლების პროგრამის კოორდინატორი მეგი ბიბილური; ექსპერტი ტრენერი, 2017 წლის მასწავლებლის საუკეთესო ჯილდოს მფლობელი ვლადიმერ აფხაზავა და „მეგობრობის ხიდი ქართლოსის“ პროგრამების კოორდინატორი ლევან გეგეშიძე.

ზემოთაღნიშნული შეხვედრის ფარგლებში გადაწყდა ფონდის მიერ მომზადებული მოდული: „ძალადობა, მსხვერპლის მოძალადის ამოცნობა, პრევენცია რეაგირება და სამართლებრივი მექანიზმები“, მიღება-ჩაბარების აქტით გადმოეცეს ა(ა)იპ "აჭარის განათლების ფონდს", რომელსაც ის აჭარის მასშტაბით განახორციელებს.

ამასთან, ფონდი „ჰუმანდოკი“ იტოვებს უფლებას პერიოდულად განახორციელოს დაგეგმილი ტრენინგების სუპერვიზია.

ჩვენ გავაგრძელებთ აჭარის განათლების ფონდის მხარდაჭერას, რომ გავზარდოთ მისი შესაძლებლობები ხარისხიანი ტრენინგების მიწოდებაში.

გიგზავნით აღნიშნული ტრენინგ-მოდულის სრულ პაკეტს.

პაკეტში შედის ტრენერისა და მსმენელის მასალები, მათ შორის მულტიმედიური რესურსები, რომლებიც აჭარის განათლების ფონდის ტრენერების მიერ იქნება გამოყენებული.

(იხ. თანდართული დანართი მოდულის სრული პაკეტის მისაღებად.)

გთხოვთ, აღნიშნული წერილი მიიღოთ როგორც თანამშრომლობის დასტური.

კეთილი სურვილებით,

სტანისლავ ბრუდნოხი

ფონდი ფუმანდოკის სამხრეთკავკასიის
რეგიონალური ოფისის დირექტორი

FUNDACJA HUMANDOC
45-092 Opole, ul. Jana Kropidły 8A/10
www.humandoc.pl, e-mail: humandoc@humandoc.pl
KRS 0000349151, NIP: 5272622103, REGON: 142295548

Stanisław Brudnoch